თამარ ბართაია

პარიზი- პარიზია!

(პიესა ერთ მოქმედებად)

2021წ.

მოქმედი პირები:

ოფელია - (50 წელს ზემოთ.) მუშაობს სტილისტად იაფასიან სალონში.

ზუზუ - (25 27 წლის) ლატარიის კომპანიის მენეჯერი.

მირანდა - (44 – 47 წლის) დიასახლისი. შემლებული ქალბატონი.

მზეხა - (50 წლამდე) პოეტესა. ნევროზიანი.

სცენა პირველი.

აეროპორტის მოსაცდელი.

ზუზუ მობილურზე ლაპარაკობს თან პატარა ჩემოდანს მიაგორებს, აცვია სპორტული ტასაცმელი და ბოტასები.

ზუზუ: აუუ , კაი რაა ანჩო?!... ბაზარი არ არის! ... რეებს მიხსნი?...შენ თავს ვფიცავარ თუ რამეს ვკეკლუცობდეე, ...აუუ... კაი რაა?! მინდა, არ მინდა, მაინც ამ ,,სასტავთან'' მომიწევს ყოფნა, აზრზე მოდი რაა?! ... ერთ ოთახში სამი ბებერი ქალი, თავის ბებრული იდეებით, მაგ პონტში ვწუწუნებ თორეე ...მოიცა?... მოვედი ხოო, უკვე აეროპორტში ვარ. არა ნიკუშას არ მოვუყვანივარ, არ ეცალა, ნუ რა ვიცი ამ ბოლო დროს ძაან დაკავებულია ბიჭი?! ტაქსით მოვედი. კაი სორი რაა ანჩო, გადმოგირეკავ ცოტა ხანში,... შენ თავს გეფიცები თუ მიხაროდეს, ნუ ახლა ნიკუშა რო მოდიოდეს მაშინ სხვა პონტია ...კი მაგ პონტში რა თქმა უნდა, პარიზი - პარიზია

ზუზუ ჩერდება, მობილურს გათიშავს და ახალ ნომერზე რეკავს.

ზუზუ: - მოგესალმებიით! ქალბატონ ოფელიას ვესაუბრები ხოო?! მოგესალმებით ლატარია ,,იღბლიანის'' სახელით კიდევ ერთხელ გილოცავთ გამარჯვებას, მე გახლავრთ , ამ კომპანიის მენეჯერი ზუზუ , ... დიახ ! დიახ! მამულაშვილი, მაგრამ არავითარი ზინაიდა, ზუზუ დიახ ზუზუ მხოლოდ ზუზუ ! ქალბატონო ოფელია ხო არ მოსულხართ აეროპორტში?... დიახ... ერთი საათია აქ ხართ?! ...კარგი, კარგი, სხვებსაც მოვძებნი , ჩვენს ბანერთან შევიკრიბოთ, ცენტრში დგას მთავარი შესასვლელის წინ, დიახ...ხედავთ? ხოდა ძალიან კარგი, დანარჩენებსაც მოვძებნი და მოვალ... აბა დროებით (გათიშავს მობილურს და გზას აგრძელებს)

ბანერზე სხვა და სხვა ასაკის, გაოცებისაგან თვალბდაჭყეტილ ადამიანებს ხელში ლატარიის ბილეთები უჭირავთ, ქვემოთ კი დიდი ასოებით აწერია: ,, ლატარია- ,,იღბლიანი!'' - შენც გახდი იღბლიანი! ''.

ბანერთან მიდის 50- წელს გადაცილებული, ბჭყვრიალა ტანისამოსში და სამკაულებში გამოწყობილი ოფელია, საგანგებო, სადღესასწაულო თმის ვარცხნილობით, თან ტელეფონზე ლაპარაკობს.

ოფელიაა: რაფიკ, ეხლა დამირეკა ამ გოგომ, მენეჯერი როა და მალე უკვე გავფრიდნებით დარაგოი, აბა შენ იცი რაა?! ოთხი დღე არ მოკვდები უჩემოთ ჰაჰაჰა, არც შიმშილით არ მოკვდები. ოთხი დღის საჭმელი მაცივარში გაქ, როგორც გითხარი, გარეთ გასვლაც არ გინდა? მეხუთე დღეს მეც ჩამოვალ და პრივიზუ ფრაცუსკიე კრუასნი დარაგოი, ჰა,ჰა, ჰა�ა!! არ გინდა - ნუ გინდა , აი დარდი რაა?! ..რაა? რა შეჭამე?...და ხვალინდელი დღის ეხლა რათა ჭამე? და რა დროს ჭამა იყო?!...დაიღალე და მოგგშივდა ? ...და ეგრეთი რა დაიღალე, სანამ აეროპორტიდან გლდნში გახვედი? შიმშილით მოკვდი? ...მოიცა, ხვალინდელი დღის პორცია სულ როგორ შეჭამე? ...იცი რას გეტყვი ტაგდა ზავტრა სდელაი რაზგრუზოჩნი დენ! ვოტ ტაკ!! (კიდებს ყურმილს) იდიოტ ნიშასნი (ტელეფონი გაუთავებლად რეკავს, მაგრამ ოფელია არ იმჩნევს).

ოფელია : (ბოლოს მაინც პასუხობს მობილურზე) რაფიკ, ეხლა ნერვები არ ამიშალო! ხვაწიტ ნუუ! რაზგუზოჩნი რა არის და განტვირთვის დღე... დატვირთვის კი არა განტვირთვა! -ვააა! ეგ ის არის, რომ ერთი დღე არ ჭამ და ორგანიზმიც აღარ იტვირთება, ისვენებს, ვაა?! დასვენება ყველას რო უნდა ეგ არ იცოდი?! ნუ გეშინია ხო გითხარი რო შიმშილით არ მოკვდები, მთელი სალონი ეგრეა , ჩვენი ყველა მეორე კლიენტი დიეტაზეა შენ მასაწავლე რაა ეხლა...და ვინ გითრა რო ქალებს იმდენი ჭამა არ უნდა? .. დავაი შას ვსიო!!

ოფელია მობილურს გათიშავს, ტელეფონი ისევ რეკავს, ხმას ჩაუწევს .

ამასობაში მზეხა მოდის, ბანერის წინ დგება და უკმაყოფილო სახით აქეთ-იქით იყურება.

ოფელია - (დახედავს ტელეფონს) აჰა! ...აბა რეკე და რეკე ეხლა ?! არ წაიღო ტვინი?!!
ოფელია ორი უზარმაზარი ჩემოდნის ბანერის წინ მიგორებას ცდილობს.

ოფელია: ქალბატონო, დიდი ბოდიში, მაგრამ აქ ჩვენ უნდა შევიკრიბოთ, ამის წინ, ჩვენ გვაქვს სხადნიაკი, ვინც პარიზში მივფრინავთ.

მზეხა: მეც პარიზში მივფრონავ ქალბატონო და მეც აქ გამომიშვეს.

ოფელია : და მაშ მერე ბარგი სად არის თუ კი პარიზში მიფრინავთ?!..

მზეხა ოდნავ მოტრიალდება და მხარზე მოგდებულ ზურგთანთაზე მიანიშნებს.

ოფელია: და სულ ეგ არის?!

მზეხა: ხო აბა მეტი რა უნდა მქონდეს, ოთხი დღით მივემგზავრები.

ოფელია: თქვენც ლატარიაში მოიგეთ?

მზეხა: დიახ, სამწუხაროდ.

ოფელია: როგორა?

მზეხა: არაფერი, ისე ვთქვი.

ოფელია : გილოცავთ, მეც ლატარიაში მოვიგე! ოფელია! (გაუწვდის ხელს)

მზეხა: მზეხა

ოფელია: ძალიან სასიამოვნოა! ჩემი ქმარი ტაქსაობს და ერთი მგზავრი,ფული რო არ ქონდა , ეს ლატარიის ბილეთი აჩუქა,პრისტავლაეშ. იმან გაიხაროს!

მზეხაა: მართალი გითხრათ მე დიდად არ მიხარია.

ოფელია: და რათა მერე?

მზეხა: ჯერ ერთი ფრენა არ მიყვარს.

ოფელია: არც მე, ადრე მაგრა მეშინოდა, მაგრამ იმდენი წელი თვითმფრინავში არ დავმჯდარვარ უკვე დამავიწყდა ჰაჰაჰა!!.

მზეხა: მეც, მაგრამ, შიშმა მომიმატა,

ოფელია : და თუ დიდი ხანია არ დამჯარხარ შიშმა როგორღა მოგიმატა?

მზეხა:: საერთოდ მაქვს, დახურული სივრცის შიში

ოფელია: დაა... ეგ ვიცი , კლაუსტროფობია ნაზივაეტსია

მზეხა: ა: დიახ , ეგ მჭირს ზუსტად, 30 წელია არც მეტროში ჩამიდგამს ფეხი და არც დახურულ კარში არ მძინებია, საერთოდაც ვფიქრობ, სანამ ჯერ კიდევ დროა, ხო არ გავბრუნდა სახლში?

ოფელია: უიმეე?! რას ამბობ?! აბა რა გითხრა ?! ისე კი თვითმფინავში ფანჯარას

არვინ არ გაგიღებს ჰაა ჰა ჰა ჰა.

მზეხა: ხოდა ჯობია დროზე აქედან...

ოფელია: ეგრე როგორ შეიძლება, ეხლა აქ რო მოხვედი, უკვე ვსიო. მოხვედი უნდა გაფრინდე, ეგ სახლში უნდა გადაგეწყვიტა ეხლა გვიან არის. იმის არ იყოს დამიჯდება და მერე ხმამაღლა ფიქრობს: - შევიჭრა, არ შევიჭრა ?... ქერად შევიღებო, თუ წითელი უფრო ჯობია. მე რა ვიცი შე მამაცხონებულო, მიდი რა სახლში გადაწყვიტე და მერე მოდი. მერე მე რო ვურჩიო სტრიჩკა მოგიხდება , არ მეტყვის შენი ბრალია ქალო. არადა თუ მოუხდება, მაშინ კი არ ახსოვს მე რო ვუთხარი. მაგრამ ეხლა გეუბნები, ძალიან ინანაებ თუ არ წამოხვალ დამიჯერე უჰ ჰ!! პარიზი, მაინც პარიზია.

მზეხა:: ნამყოფი ხართ?

ოფელია: და ისე რა არ ვიცი ?!

მზეხა: განა არ მინდა წამოსვლა , მაგრამ აი აქ შემოვედი, თუ არა მგონი წნევამაც ამიწია ნერვიულობისგან.

ოფელია: ჩახვალ, ვილიჩიშსია.

მზეხა: ის ფული ჩემთვის მოეცათ ხელზე , მერჩივნა , მაგრამ არაო და...

ოფელია : მაშ, მაშ! მაგრამ ეგ გამორიცხულია, რაფიკაც მეუბნებოდა, ჩემი კლიენტის მოცემულია და მე უნდა მივდიოდე პარიზშიო, მაგრამ , ეგრე არ არის , ვინც შეავსო , ის მიდის. და შეევსო რაა, მე დავუშალე?! სახლში რო მოვიდა და ფულთან ერთად ეს ბილეთიც ამოყვა, ისევ ისე გაბრაზდა იმ კლიენტზე, - ვიბრასი ბისტრა ვ მუსორ! ვიბრასი! - ისე ყვიროდა ,სულ წითელი გახდა. მეც კიდე ვითომ გადავაგდე რაა?!...ჰა ჰა ჰა!!!

უხლოვდებათ მირანდა , გრძელი ქერა დავარცხნილი თმებით, საღამოს კაბით და ხელში პლანშეტით.

მირანდა: - გამარჯობათ! ქვენც პარიზში ხომ არ მიემგზავრებით?

მზეხა: გამარჯობა.

ოფელია: მე კი , ამან ჯერ არ იცის, ჰაჰაჰა!!

მირადნა, ვერ ხვდება, ხუმრობას, პლანშეტით სელფებს იღებს.

ოფელია: ვაა ის ზინაიდა სად არის? რატო არ ჩანს?

მირანდა: არა ვარ ზინაიდა, ზუზუ ვარო, ზუზუუუ!!

ოფელია: ვინც არი რაა, დროზე მოვიდეს არ დგვავგვინდეს.

ზუზუ ბანერთან შეკრებილ ქალებს უახლოვდებათ თან ტელეფონზე ლაპარაკობს.

ზუზუ: ახლავე,.. ახლავე გადავცემ (ტელეფონს გაუწვდის ოფელიას).

ზუზუ: თქვენ ხართ ხომ ალბათ ოფელია? თქვენი მეუღლე გირეკავთ.

ოფელია მობილურს ართმევს და უსმენს.

ოფელია: ვაა?! ...ხო რაფო?! რა იყო?...რااა...رااا? ჩაწეული მქონდა, ნი კრიჩი სლუშაი, ვაა ამიტომაც ჩავუწიე რო ტვინი წიღე, დავაი ვსიო რაა.

ზუზუ : აბა წავედით, დაიწყო რეგისტრაცია, ყველანი ერთად დაიძრებიან.

ოფელია ძლივს მიაგორებს ორ უზარმაზარ ჩემოდანს. მზეხა ეხმარება.

სცენა მეორე

ზუზუ: ვაიმეეე არ დამიჯერებ ანჩო, შენ თავს ვფიცავარ, აი ვუყურებ ,,სასტავს'' და ვფიქრობ, ხო არ მოვტყდე აქედან , ქალები ოპერის ჩაცმულობით. ორი განსაკუთრებით, თმებდავარცხნილები, ქუსლოჩკებზე, დიდი ბრდღვიალა ბიჟუებით და მესამე საერთოდ კაცის შრვალ-კოსტიუმშია გამოწყობილი.ოღონდ მართლა. სახელებზე იკიფე : ოფელია, მზეხა, მირანდა. არა მზეხა პოეტესაა. კაი წავედი ანჩოო, რაღაც ჩოჩქოლია.

ოფელია და მზეხა საპასპორტო კონტროლის გასასვლელთან დგანან და ერთმანეთში საუბრობენ . მირანდა ოდნავ მოშორებით სელფებს იღებს.

მზეხა: მე ახლა ჩუმად გავიპარები და შენ უთხრი ცუდათ გახდათქო კარგი.

ოფელია: ხო არ გაგიჟდი, ჩტო ზა დეტსკი სად, მე არაფერსაც არ ვიტყვი, შენი პასპორტი უკვე იმათა აქვთ, რაღას აძლევდი? ეე? და რო ჩაგირტყამენ მერე ვსიო, ტუდა ი აბრატნა, სანამ ისევ აქ არ დაბრუნდები გარეთაც ვერ გახვალ.

მზეხა: ხოდა მაშინ ახლავე უნდა გავიქცე.

ოფელია: მოიცა ერთი წუთით რაღაცას გვეუბნება, რა ბრძანეთ?... დიახ ორივე ჩემი ჩემოდანია...როგორ თუ მეტი წონაა, მოიცა ერთი ამისია. ამისი აბა პარიზში ერთი პატარა სუმკით ხო არ წამოვიდოდა ? თქვენცა ხართ რაა! თქვი რა რო შენია (მზეხას ჩუმად)

მზეხა: დიახ ერთი ჩემია .

ოფელია: აქეთ მობრძანდითო, ჯერ შენ გიშვებენ .

მზეხა ოფელიას ერთ-ერთ ჩემოდანს ხელს დაავლებს და დაბნეული გადის. ოფელია ხელს დაუქნევს.

ოფელია: ვსიო ჩათვალე რო უკვე პარიზში ხარ.

მოირბენს ზუზუც ხელში პასპორტით, მირანდა კიდევ ასწერებს რამდენიმე სელფის გადაღებას და ისინიც გასასვლელში გადიან.

სცენა მესამე

პარიზი.

სასტუმროს ნომერი.

ოფელია და მირანდა და ძლივს მოათრევენ გათიშულ მზეხას, იქვე საწოლზე მიაგდებენ.

ოფელია: ვაიმეე, ეს ვინა ყოფილა, მეშინია რადიკულიტი არ ავიკიდო.

ზუზუ: და რა დაემართა მაინც ვერ ვხვდები?

მირანდა: ფრენის მეშინიაო და მე მივეცი ერთი აბი, მე არ მეშინია, მაგრამ სულ თან დამაქვს, ყოველთვის ვიღაცას სჭირდება.

ზუზუ: მეც მივეცი, ეტყობა ორივე დალია.

ოფელია: მარტო ეგ არი?! ჩემს გვერდზე არ იჯდა, ჯერ ხო სანამ გამოვფრინდებოდით, ცხრაჯერ უკან დაბრუნება უნდოდა, მერე რო ავფრინდით, სტიურდესას ვისკი მოატანინა და ორი ჭიქა ჩემს თვალწინ დალია.

მირანდა: (ტელეფონით ვიღაცას ელაპარაკება) ნახეთ ფოტოებიი?! კიი გადასარევათ ვიფრინეთ და ამ წუთას შემოვედით სასტუმროში, მოგვიანებით დაგირეკავ , კი ბებუსი დღესვე გავალ, ჩამოგიტან აბა რას ვიზამ ჩემო სიცოცხლე.

ოფელია უკმაყოფილო ათვალერებს ნომერს.

ოფელია: აქ ვინ დარჩება? ამის მარტო დატოვება აპასნია, რამე არ დაემართოს!

მირანდა: რა უნდა დაემართოს მთვრალია, გამოფხზლდება და ეგ არის.

ოფელია: და მაშ ყველა ამ ოთახში უნდა ვიყოთ?

ზუზუ: რა თქმა უნდა ქალბატონო ოფელია, მეც მერჩივნა ცალკე აპარტამენტი მქონოდა, მაგრამ პარიზში ვართ და დატკბით სხვა რამით.

ოფელია: პრობლემა არ არის, მაგრამ ჩემი ჩემოდნები რო შემოვიტანო, ფეხს ვეღარ გადავადგამ, გარეთ ხო არ დავტოვებ?

მირადნა: დატოვეთ მერე რა უჭირს, მეც დერეფანში დავტოვე, ნუ გეშინიათ არავინ არაფერს არ მოიპარავს.

ოფელია: (უკმაყოფილოა) ნუუ ტაგდა ჩტო პადელაეშ! ამას არ მოვხსნათ ეს ჩანთა? ცოდოა.

დონარას საწოლზე გადაატრიალებენ და ზურგჩანთას წვალებით მოხსნიან.

ზუზუ: ინტერნეტის პაროლს გავიგებ და ახლავე ამოვალ. (ჩანთას ერთ-ერთ საწოლზე მიაგდებს და ნომრიდან გადის.)

ოფელია: რითი იღებავ ? კაი ფერზე გაქვს ხო იცი.

მირადნა: ხოო?! რა ვიცი ჩემი ირიშკა მყავს და ის მღებავს უკვე რამდენი წელია, იმდენ რამეს ურევს ზუსტად არც ვიცი და არც ვეკითხები.

ოფელია: ეგ სად არი?

მირანდა: ვაკეში, ჩემს სახლთან ახლოს , მრგვალ ბაღთან.

ოფელია: და რა ღირს?

მირანდა: ორმოცი, მაგრამ ორმოცდაათს ვაძლევ

ოფელია: და რაში ქალო?

მირანდა: შეღებვაში, ეგ არ მკითხეთ?

ოფელია: მარტო შეღებვაში? მე კიდე ჩემთვის ვიფიქრე რო შეჭრა, შეღებვა დავარცხა ღირს 40 ლარი ეგაც მეძვირა.

მირანდა: არა, სამივეს თუ ვიკეთებ 150 ლარია მაშინ.

ოფელია: მაიცა ეხლა არ გამაგიჟო, ეგეთს რას გიკეთებენ? მოდი ჩემთან მაგ ფასად ათჯერ შეგჭრი , შეგღებავ, დაგვარცხნი , ეს რა საყაჩაღეთია მამაჯან?

მირანდა: სად? სად მოვიდე?

ოფელია: გლდანი,მეშვიდე მიკრორაიონი, სილამაზის სალონი ,,აფროდიტა''.

ზუზუ : (ბრუნდება გაბრაზებული) ესენი ცოტა ვერ არიან ხო იცი, დღში 5 ევროა ინტერნეტი ? გაგიჟდება კაცი.

ოფელია: ძალიანც კარგი, აქ მაინც დავისვენო რაფიკისგან.

ზუზუ: არა ნუუუ, მე უინტერნეტოდ გამორიცხულია, ახლავე დავრეკავ კომპანიაში და როგორც უნდათ ისე ჩამირიცხონ ინტერნეტის ფული მე არ ვიცი, ისიც ეყოფათ ამ ბანძ ნომერში რო შემომასახლეს, ფუუ იდიოტები.

ზუზუ რეკავს, მირანდა და ოფელია დაწყებულ საუბარს აგრძელებენ.

ოფელია: გაიგე რაც გითხრი? 10 -ჯერ მოხვალ მაგ ფულით ჩემ სალონში, მაგაზე კარგად დაგვარცხნი.

მირანდა : დიდი მადლობა, მაგრამ ცოტა შორია ჩემგან.

ოფელია: მერე რაა , არ გაგიგონია, შორი გზა მოიარე, ნაკლები დახარჯეო?! ჩემნაირი პარიკმახერი, ეხლა რო სტილისტი დაარქვეს, საიდან არ მოდიან იცი ჩემი კლენტები? ორი ავლაბრიდან დადის, ერთი მესამე მასივი, არ მეშვებიან , მააშ

ზუზუ რეკავს , მაგრამ არავინ პასუხობს თან მირანდას და ოფელიას საუბარს ყურს უგდებს.

ზუზუ: ვაა სტილისტი ხართ?

ოფელია: დიახაც.

ზუზუ : ჩაფრენისთვის დღეს თმას ხო მომიწესრიგებთ?

ოფელია : ა ჩომ რეჩ , მართალია ჩემი რაბოჩი ფენი არ წამომიღია, მაგრამ რაღაცას მაინც გავაკეთებ.

ზუზუ: ჩემს დაბადების დღეზე ვბრუნდებით თბილისში, მართალია შუაღამეს, მაგრამ მაინც არ მინდა რომ ბანძივით ვიყო.

ოფელია: გითხრი რაა, აქ არა ვარ, რა ბანძი კი არა როგორც განძი ისე იქნები.

მირანდა: უი მე მაქვს წამოღებული კარგი ფენი, მოიცა (გადის)

ოფელია: (ზუზუს) შენ ნაღდად შეყვარებული დაგხვდება აეროპორტში და იმიტომ გინდა რო ლამაზად იყო , ააა?! ეგრეა?!

ზუზუ: პრინციპში გამოიცანით, თითქმის საქმრო

ოფელია: ვაა!! აბა რას ვიზამთ, ისეთი გაგალამაზოო როო

მირანდა : (შემოდის ფენით ხელში) აი ეს ხო გამოდგება?

ოფელია : (ართმევს , ათვალერებს) ვაა!! შენ არა ხუმრობ , ამითი ლუბოი პროჩოსკას გავაკეთებ.

მირადნა: მართლა?! მაშინ იქნებ მეც მომაწესრიგო, ხვალისთვის, ჩემს ძველ მეზობელს ვხვდები

ოფელია: არ არის პრობლემა , სხვა რა საქმე მაქვს, ერთი ჯადოსნური ჯოხი მინდა , მეტი არაფერი ისეთი. დანარჩნების საჩურებს აქ თუ ძალიან ძვირი იქნება ლილოს ბაზრობაზე ვუყიდი, არა ეხლა აქ დავხარჯავ მაგისთვის ამდენ ევროებს.

ზუზუ: რა გავაკეთო, არ პასუხობენ ეს იდიოტები. თანხაც ამომეწურა

მირანდა: აჰა, ჩემგან დარეკე რამდენიც გინდა, ჩართული მაქვს როუმინგიც და ინტერნეტიც.

ზუზუ: მართლაა?! აუუ დიდი მადლობა, (ართმევს მობილურს) იცით რაა ჩემოდნები ნამდვილად არ დაეტევა , მაგრამ შეგიძლიათ, რაღაცეები ამოიღოთ და აქ სადმე დააწყვეთ, რაც ძალიან გჭირდებათ.

ოფელია: მართალია

მირანდა და ოფელია გადიან ზუზუ რეკავს.

ზუზუ: ანჩოო, მე ვარ გოგო, როგორ ხარ? კიი უკვე სასტუმროში ვარ. ცოტა ვნერვიულობ ეს ნიკუშა რატო არ იღებს ტელეფონს, არც ფეისბუკში ჩანს, რა ხდება ვერ გავიგე? ...დაურეკე რაა და ამ ტელეფონზე დამირეკე თუ რამე ოკ. კაი წავედი ახლა გარეთ უნდა გავტასავდე თორე გავრეკე.

მირანდა და ოფელია ბრუნდებიან, მირანდას ხელზე გადაფენილი აქვს რამდენიმე წყვილი ტანისამოსი. ოფელია ცელოფნის პარკებით შემოდის. ზუზუ მირანდას მობილურს უბრუნებს.

ზუზუ: აუუ , მე გავალ კარგით, თქვენ რამეში ხო არ გჭირდებათ ჩემი დახმარება? ეს იმედია ხვალამდე გამოფხიზლდება (მზეხაზე).

მირანდა : კი ბატონო, როგორც გენებოთ, ისე მე ძალიან მომშივდა, თქვენ არ გშიათ? ვიფიქრე სადმე კაფეში ხომ არ დავმსხდარიყავით.

ზუზუ: არა მე არ მშია.

ოფელია: რა კაფეში გაგიჟდი? ბევრი ფული გაქვთ გადასაყრელი? აი ბაგაჟში გავუშვი პირდაპირ არც შეუმოწმებია არავის. პერაშკები, სომხური ქადა, გუშინ წამოსვლის წინ გამოვაცხვე ყველაფერი.

მირანდა: ვაიმეე რა სუნია, ვგიჟდები სომხურ ქადაზე, ისე მშია უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი.

ოფელია წამში სუფრას გაშლის და კონიაკსაც ამოიღებს პარკიდან. ზუზუც ფეხს ითრევს წასასვლელად. რეკავს ტელეფონი.

მირანდა :ალოო, რომელი ხარ? ბატონო? რომელი ანჩო?

ზუზუ : უი ჩემთან არიან.(ართმევს მირანდას ტელეფონს) ხოო ანჩო,გაიგე რამე, მითხრი ჩემს თავს გაფიცებ, რაა ? ... (უსმენს და თან სუფრიდან რაღაცეებს იღებს და მადიანად მიირთმევს, ოფელია და მირანდაც გემრიელად შეექცევიან) კარგი გასაგებია, ყველაფერი გამირკვიე რაა, ისევ ამ ნომერზე დამირეკე მოგვიანებით.

ოფელია: რა ქვია შენს შეყვარებულს?

მირანდა: უი , შეყვარებული ყავს?

ოფელია : ხო აბა არ ეყოლება, ამხელაა

ზუზუ : ნიკუშა

ოფელია : მოიდი რაა აიღე წესირად, თქვენთვის წამოვიღე , მარტო მე ხო არ უნდა ვჭამო.

ზუზუ ჩამოჯდება საწოლზე, ოფელია კონიაკს ჭიქებში ჩამოსხამს.

ოფელია : ხოდა , მაგ შენ ნიკუშას გაუმარჯოს! და შენც გაგიმარჯოს!

ზუზუ ტირილს ძლივს იკავებს, ჭიქას უკან დადგამს და ნომრიდან გავარდება.

მირანდა: რა მოუვიდა ?

ოფელია : როგორც მე მგონია, რაღაც შეყვარებუზე დარდობს, რეკავს ის არ პასუხობს, თუ არ ელაპარაკება ჯერ ვერ გავიგე, რავი აბა?!

მირანდა: გაგვიმარჯოს! ძალიან მიხარია აქ რო ვართ, მაგრამ სულ ოთხი დღით ვართ პარიზში და ახლა თუ დავთვერით ზოგიერთებივით ჩვენც ერთ დღეს დავკარგავთ , გადახედავს მზეხას.

ოფელია: ხოო, ერთი პულსი უნდა ვნახო, მაგის ხო კარგად არის. (მაჯას უსინჯავს მზეხას.) მშვენიერი. - ,,რაც მოგივა დავითიო, - ეგრეა რა მიგის საქმე.

მირანდა: გაცნობაც ვერ მოვასწრი , ეს საქმეა ჰაჰაჰა!

ოფელია: მე მოვასწრი, ეტა უ ნას პაეტესა.

მირანდა: რაა?

ოფელია : ხო რა იყო? თვითმფრინავში ხო გვერდი- გვერდზე ვიჯექით და ვკითხე სადა მუშობ მეთქი და არა ვმუშაობ , მე პოეტი ვარო.

მირანდა: ვაა უყურე შენ?!

ოფელია: ისე ცოტას აფრენს ყველა პოეტი, ხო იცი?ესეც არ დააკლებს, უკვე კოჭებში ეტყობა

მირანდა : ჰაჰაჰა!!!

ტელეფონზე მესიჯის მოსვლის ხმა გაისმება. მირანდა მობილურს აიღებს და მესიჯს კითხულობს. უცებ ხასიათი ეცვლება.

ოფელია: რა იყო? რამე ცუდი ხო არ მოხდა? ნე დაი ბოგ...ეხლა შხამი არ იყოს სუფრაზე.

მირანდა: მესიჯი მოიწერეს , იმ ნომრიდან წეღან რო დარეკა ზუზუმ. ვაიმეე ვერ არის საქმე მგონი კარგად.

ოფელია: რა იყო თქვი სანამ გული არ გამისკდა

მირანდა: აი ნახე შენ თვითონ , იქნებ მე რამე მეშლება.

ოფელია მობილურს ართმევს, სათვალეს ამოიღებს, მინებს კარგად გაწმენდს და კითხულობს ხმამაღლა.

,,ზუზუ, თბილისში ვერ გითხრი, პრინციპში პარიზშიც მაგიტომ გაგიშვეს რომ ამ ამბავზე არ გენერვიულა და გული გადაგეყოლებინა. ნიკუშას ცოლო მოყავს, ტელეფონსაც მაგიტომ არ პასუხობდა, არ ინევიულო ჩემს თავს გაფიცებ''გკოცნი შენი ანჩოო''- ვაიი!!! ვაი!!! ვაიიი !!! ეს რა მოხდა!!! დავიღუპეთ!!(იწყებს ყვრილს მთელი ხმით) ამ ხმაზე ლოგინიდან შეშინებული მზეხა წამოხტება ისიც ყვირილს იწყებს.

მზეხა: ვაიმეე!! მიშველეთ!! ვიღუპებით! თვითმფრინავი რადარებიდან გაუჩინარდა!! მიშველეთ!! მიშველეთ!!

მირანდა და ოფელია გაკვირვებულები უყურებენ მზეხას.

მზეხა თანდათან რეალობას უბრუნდება, გაჩუმდება და დაიმორცხვებს.

მხეხა: სადა ვართ?

ოფელია : ჯოჯოხეთში , უკვე მოვკვდით რა არ იცოდი?

მირანდა: როგორ ხართ? გამოხვდით ცოტა?

ოფელია: სადან გამოვიდა, ვერ ხედავ გასულია მომსახურების ზონიდან.

მზეხა: პარიზში ვართ? საერთოდ არაფერი არ მახსოვს.

ოფელია : შენ რატო გეხსომება, აბა ჩემ წელს კითხე , ახსოვს თუ არა? რადიკულიტი რო მაქვს შენ თრევაში, არ ახსოვს! ვაა რა კაია?!

მზეხა: ისე გამთიშეს ამ წამლებმა

ოფელია : წამლებმა კი არა ის ვინ იყო, ლამის ერთი ბოთლი რო გადაუშვა.

მზეხა: ხოო , ისე იმ ვისკიმაც მიშველა მგონი. რა იყო რა შეიცხადეთ , მოხდა რამე?

მირანდა : ჩვენი გოგოს შეყვარებულს ცოლი მოუყვანია, თუ მოყავს, ჯანდაბას მაგას .

მზეხა : ვინ ჩვენი გოგო?

ოფელია : ზუზუ , ზუზუ! ან გამოფხიზლდი აკანჩაწელნა, ან კიდე დიძინე რაა ვაა?!.

მზეხა: აღარ მეძინება, რა ხდება გამარკვით რა თუ შეიძლება?

ოფელია : რა ხდება და ირემი რო გადაბრუნდება , გზა მერე გამოჩნდებაო, არ გაგიგონია?!

დონარა: ეგ ირემზე კი არა ურემზეა.

ოფელია: კაკაია რაზნიცა, ვინ გადაბრუნდა, აქ მთავარია რო გზა გამოჩნდა.

მზეხა: მერე რას ხედავთ მაგ გზაზე?

მირანდა : რა ვქნათ? რა ვუყოთ ამ გოგოს, მე ამას ვერაფრით ვერ ვეტყვი.

მზეხა ჩუმად ზის და ხან ერთს უყურებს და ხამ მეორეს.

ოფელია: ერთი ამასთან დამირეკე რაა?!

მირანდა: ვისთან?

ოფელია: ვინც რო ეგ სასიკვდილო მესიჯი მოსწერა,

მირანდა: დარწმუნებული ხარ?

ოფელია: აბა მა რაა

მირანდა დარეკავს და ტელეფონს ოფელიას გაუწვდის.

ოფელია: არა ვარ ზუზუ გენაცვალე ოფელია ვარ! ოფელია ვარ, და ეხლა კარგად მომისმინე, ამ გოგოს აქ რო ნერვიულობაზე რამე დაემართოს, ვინ არის პასუხის გამცემი და მგებელი? აა?! გეკითხები მე შენა.?!.. ჯერ არაფერი არ იცის და სანამ თბილისში არ ჩამოვა ხმა -კრნტი არ გავიგონო მანდედან? რა გინდათ რო თავის დაბადების დღეზე გოგოს გული გაუსკედეს?! დაანებეთ რა თავი , ვაჰ!!!. (გათიშავს)

მირანდა: ვაიმე , ჩემს ტელეფონში რო ნახოს ეს მესიჯი? დავიღუპებით, აა მოცა...მოიცა ერთი წუთით, (რეკავს) გოგი დედიკო, კი კი დე კარგად ვარ. რაღაც მინდა გთხოვო,იმ გოგოს ნომერზე მე რო დაგიტოვე, ჩარიცხე რაა როუმინგის თანხა და ინტერნეტით ჩაურთე. დაბადების დღე ქონია და საჩუქრად მინდა, შენ მაგაზე არ იდარდო,სხვა რამესაც ვაჩუქებ. მადლობა დედი, აუცილებლად ყველაფრს ჩამოგიტან რაც დამავალე , აბა რაა?! კარგი დედიკო. აბა გკოცნი . (გათიშავს) .

მორჩა, მაგას უკვე ექნება თავის ტელეფონზე ანგარიში და ჩემი აღარ დასჭირდება და ვერც ამ მესიჯს ვეღარ ნახავს.

ოფელია: უი შენ კი გაიხარე.

მზეხა: ეხლა აქედან გავიპაროთ, სანამ თავზე დაგვდგომია და როცა რამეს მოვიფიქრებთ მერე დავბრუნდეთ.

მირანდა : კი, კი ნამდვილად ასე ჯობია.

ოფელია : მე ვიცი , როგორც უნდა შევაპაროთ, ოღონდ ისე რაა , რო არც მწვადი დავწვათ და არც ტაფა.

(სამივენი გადიან ოთახიდან)

სცენა მესამე .

სასტუმროს ნომერში გახურებული ქეიფია. ტელეფონში ჩართულია ,,შალახო”

და ოფელია და მირანდა მთელი მონდომებით ცეკვავენ. ოფელია ცდილობს ძირს

დაგდებული ცხვირსახოცი პირით აიღოს , წვალობს , უჭირს , მაგრამ ბოლოს მაინც ახერხებს.

ზუზუ : აჰაჰაჰა , აღარ შემიძლია ცუდად ვარ ჰაჰაჰაჰ!!

მირანდა : აბა ეხლა ტანგო ! ტანგოც ხო იცი ოფიკ ჯან?! დავაი ტანგოო!!!

ოფელია: მაიცა ტანგო არა ისა ეხლა გეყოფა. გინდა რო აქედან შენი ჩასასვენებელი გავხდეე, რა იყო ბევრო ფული გაქ?

მირანდა : ტელეფონში ტანგოს მუსიკას მოძებნის

მზეხა :მე ვიცი

მზეხა და მირანდა ტანგოს ცეკვავენ

ზუზუ: (ტელეფონზე) ანჩოო, ჰაჰაჰაჰა!!! დედას ვფიცავარ ასეთ მაგარ სასტავში თუ სადმე ვყოფილვარ, ლაივი უნდა ჩაგირთო და შენი თვალით ნახე , ჰაჰაჰაჰ!!! ბრავო! ბრავო!

ცეკვა მთავრდება და დაღლილები საწოლზე გადაწვებიან, ოთხივე იცინის.

ზუზუ :აუუ რა ფოტოები გამოვიდა , გლიჯავს.

მირანდა : გაუშვი ჩემს ფროფაილზე

ზუზუ: ინსტაგრამზე ჯობია, ხო გაქვს?

მირანდა :კი მაგრამ ფესიბუკში უფრო აქტიური ვარ

ზუზუ: არა გრცხვენია ასეთ სვეტ ქალს, რაღა დროს ფეიბუქია, გოიმების სტადიონი

აუუუ , თქვენ თავს ვფიცავარ უკვე იცით რამდენი ლაიქი გვაქვს??არ არსებობს?! ვაიმეეე!!!

მზეხა: ეხლა რამე ლირიული მუსიკა მჭირდება რა ფონად.

მირანდა: გუშინ რო მოგასმენიე ის გაწყობს?

მზეხა: კი , კი კარგია.

ისმის მუსიკა და ამ ფონზე მზეხა საკუთარ ლექსს კიტხულობს მთელი გრძნობებით

მზეხა:

აღარ გიყვარვარ?! ...

არც მე მჭირდები,

გვიან იქნება რო დაგჭირდები.

როცა თოკივით ჩამეჭიდები

და მე შენს გვერდით აღარ ვიქნები.

მიდი მეძებე ...

ახლა ქარია,

ახლა წვიმაა,

ცუდი დარია,

აღარ მჭირდები!

გაცვდენენ ფიქრები,

გაუფერულდნენ ჩემი დარდები.

არ მედარდები,

აღარ მჭირდები,

დაგაგვინდა გახმნენ კვირტები,

გვიან იქნება რო დაგჭირდები.

როცა თოკივით ჩამეჭიდები

მე კი შენს გვერდით აღარ ვიქნები.

სამივე მაგარ ტაშს დასცხებს.

მირანდა : ბრავოო!!!! ბრავო!!!

ოფელია: შენ მართლაც დიდი პოეტესა ყოფილხარ, აი აქა მაქვს ყელში ცრემლები

მზეხა: სიყვარულს გაუმარჯოს მეგობრებო და ვისაც ჩვენ არ ვუყვარვართ ყველას დედაც ...

ოფელია : გაუმარჯოს! გაიხარე მზეხა-ჯან!

მირანდა : ეხხ, მეგობრებო მეც ვწერდი ერთ დროს ლექსებს და ისეთი შეყვარებული ვიყავი მაშინ ისეთი, მაგრამ მიმატოვა იმ არაკაცმა... (იტყუება) თუ გინდათ მეც წაგიკითავთ ჩემს საკუთარ ლექსს. მზეხას ნამდვილად ვერ გავეჯიბრები მაგრამ , ღალატმა მეც ბევრი ლესები დამაწერინა ერთ დროს.

ოფელია: დავი, ვახ ეს რა ხალხში მოვხვდი?

მირანდა: მოიცა, მეც მჭირდება მუსიკა ფონად .

ტელეფონში ცნობილ მელოდეიას მოძენის ფილმიდან ,,ნათლია".

მირანდა მუხლისჩოქებზე დგება და ლექსის კითხულობს.

მირადნა:

წვიმდა...

და მარტო ვიდექ ქუჩაში,

წვიმას ერევა ჩემი ცრემლები,

და მიხარია მე რომ ვსველდები ,

რადაგან აღარ ჩანს ჩემი ცრემლები.

მალე გააშრობას მზე გზებს ნაწვიმარს,

და მეც ცრემლივით გავქრები სადღაც.

ეს არ იქნება ასე ადვილი,

იქ არ იქება შენი ადგილი.

წვიმას ერევა ჩემი ცრემლები.

და მიხარია მე რომ ვსველდები.

რადგან აღარ ჩანს, რადგან აღარ ჩანს

რადგან აღარ ჩანს ჩემი ცრემლები.

ისევ მაგარ ტაშს დასცხებენ დანარჩენები.

ზუზუ: კაი რაა, ასეთ ქალს რო მიატოვებ, რამდენი წლის იყავით მაშინ?

მირანდა : შენი ასაკის ვიქნებოდი

ოფელია : მეც მასე რაა , შენი ტოლივიყავი, სანამ რაფიკა არ გამოჩნდა , ორჯერ მიღალატეს, მაგრამ ისე ვკვდებოდი ლექსის დაწერის თავიც კი რო არა მქონდა.

ზუზუ: ხოო , ღალატი ალბათ ძალიან ცუდია , მართალი გითხრათ ჯერ არ გამომიცდია. ისე კი ძალიან ნერვები მეშლება ნიკუშამ ერთხელაც რო არ დამირეკა.

მზეხა : იცი რას გეტყვი , კაცის გულისთვის დარდი არის ყველაზე დიდი სისულელე.

ზუზუ : მეც მასე ვფიქრობ.

ზუზუ: (ტელეფონი ურეკავს)- ბოდიში ერთი წუთით .

ზუზუ გადის, კარს გაიხურავს თუ არა მირანდა , ოფელია და მზეხა უცებ საიდუმლო ხმით ალაპარაკდებიან.

მირანდა : მგონი კარგად გამოგვდის ჯერ - ჯერობით

მზეხა : კი, კი, ვერ გაიგონე , თავის პირით თქვა კაცებზე არ უნდა იდარდოდვო

ოფელია : ვაი ვაი ვაი ასეთი გოგოს რო მიატოვებ, უკეთესი ვინ უნდა იპოვო?.. აბა , გავაგრძელეთ , როგორც შევთანხმდით

მირანდა : ლექსი როგორ მოგეწონათ? მართლა ჩემი დაწერილი კი არ არის? ჩემი კლასელიც წერს ლექსებს ეს განსაკუთრებით მომწონს.

ოფელია : შას კაკაია რაზნიცა ვისი ლექსია, მთვარაია როგორ ითქმება და რითვის ითქმება, მაიცა მოდის , მოდის

ზუზუ ბრუნდება

ზუზუ: აბა რაზე გავჩერდით?

მზეხა : მე ვიტყვი ახლა ერთ სადღეგრძელოს, დამისხით.

ოფელია ჭიქებს შეავსებს.

მირანდა : გოგოებო მოდი ჩვენ გაგვიმარჯოს, ლატარია-მატარია , პარიზი- მარიზი არ ვიცი მეე!! მთავარია რომ თქვენნაირი კარგი ადამინები გავიცანი. თქვენი არ ვიცი , მაგრამ მე უკვე ჩემს მეგობრებად გთვლით.

ოფელია: ახალი ამბავი?! თქვა რა ამანაც, აბა მე რას ვამბობ?

მზეხა : მეც გულწრფელად გეუბნებით, ისე მეშინოდა თვითმფრინავში ჩაჯდომის, ისე მეშინოდა, აი აგერ მყავს მოწმე

ოფელია : ჩემმა ჩემოდანმა გადაგარჩინა, ერთი არ გეთქვა რა ჩემიაო?!

მზეხა : მე თუ შენ?

ოფელია : ვაა მერე ცუდია?! მეორე დღეა გარეთ არ გავსულვართ, იმდენი საჭმელია ნაგავში ხო არ გადავყრი?!

ზუზუ : ისე მართლა პირველად ვარ ესეთ ,,პაეზდკაში'' ნომრიდან რო არ გავდივარ, თითქოს დიდ აპარტამენტებში ვიყოთ ჰაჰაჰა!!

ოფელია: მთავარია ადამიანობა , შენობა ტუტ ნი პრიჩიომ..

ზუზუ: ზეგ ჩემი დაბადების დღეა და კიდე თუ არ გამოჩნდა ნიკუშა , თქვენ თავს ვფიცავარ მაგას თუ ეგ ვაპატიო?

მზეხა :ოხ ეს კაცებიიი?! ოხ ეს კაცები?!!

მირანდა : მაგათი სინსილა გაწყდამ ერთიანად .

ოფელია : კაცები?! მერე სადღა არიან კაცები დიდი ასოთი?

მირანდა: რაო?

ოფელია : რაო და ისაო, სადმე გინახვთ ეგეთი კაცები? მე არა ! ადრე იყვნენ ბევრი ჩემს ბავშვობაში ეხლა ჩკაა, არადა როგორ სჭირდება ჩვენს ქვეყანას კაცები დიდი ასოთი , როგორ?

ზუზუ: ჰაჰაჰაჰა!! ვაიმეე , არ მჯერა ჰაჰაჰა!

ოფელია : ნუ გჯერამს !

მზეხა: შენ მგონი ძალიან დათვერი, მეტი აღარ დალიო, ჰაჰაჰა!

ოფელია: მე არ მინახვს და თქვენ თუ იტყვით და მაჩვენებთ ეგეთ კაცს ორივე ხელს ავწევ

მირანდა : ორივე ხელს , თუ ორივე .... ჰაჰაჰაჰაჰ!!!

ოფელია : რა არის სასაცილო, ეს სასცილო კი არა მე თუ მკითხვა სატირელია , თანაც მაგრად სატირელი

მზეხა : გააჩერეთ აღარ შემიძლოია მეტი , ვეღარ ვსუნთქავ!!! (ლამის ბჟრდება სიცილით)

ოფელია : რა ამბავია ხალხო პირველად გაიგეთ, რო , ნამ ნე ხვატაეტ მუჟჩინი ს ბალშოი ბუკვი. ვაა!!!

სიცილისგან სამივე იატაკზე ხოხავს

სცენა მეოთხე

ოფელია, მირანდა და მზეხა, ოთახში შემოდიან პარკები დატვირთულები.

ოფელია : მორჩა რაა, რა ჩემ ჭირად მოვიგე ეს ლატარია ფეხზე ვეღარ ვდგევარ.

მირანდა: მეც ძალიან დავიღალე , მაგრამ კიდევ კარგი , რაც დამავალეს ყველაფერი ვიყიდე.

მზეხა : მე რა მეშველება? ამდენი რამე როგორ წავიღო, კიდევ ერთი ჩემოდანი უნდა მეყიდა.

ოფელია : მე, ჯადოსნური ჯოხი თუ არ ვიყიდე ჯობია საერთოდ არ ჩაივიდე. მომკლავს რაფო.

მირანდა : მოიცა რაა , მოიცა მაგას სერიოზულად ამბობ?! მგონია რომ სხუმრობ რაც ჩამოხვედი მაგ ჯოხზე.

ოფელია : რა მეხუმრება ქალო, მაგის გულისთვის უფრო გამომიშვა რაფომ ეგ რო არ ჩავუტანო , უკან გამომაბრუნებს.

მირანდა : ერთი დღე დაგვრჩა ხალხო და ხვალ მაინც ვნახოთ რამე, ერთი სურათი მაინც გადავიღოთ ეიფელთან.

მზეხა: ეიფელთან კი არა, ვერსალში არ წავიდეთ?

მირანდა: ისე ვერსალის ბაღშიც კარგი სურათები გამოვა. მოვასწრებთ ხვალ, ყველაფერს მოვასწერბთ.

ოფელია :მოიცათ მე ვიცი სად რა უნდა ვნახო აუცილებელი ადგილები, ჩემი მეზობელია ისტორიის მასწავლებელი, ნუგზარა, ყველაფერი იცის, სად როგორ , რატო, აი ეხლავე წავიკითხავ ყველაფერს.

ოფელიას ძველი რვეული ამოაქვს ჩანთიდან, სათვალეს მოიმარჯვებს და კითხულობს.

ოფელია: ზნაჩიტ ტაკ!

- იუპიტერ ოპტიმუს მაქსიმუსის ტაძარი
- მონტეჩიტორიოს ობელისკი
- ვირების ჭიშკარი

მირანდა: რა ვირების ჭიშკარი ქალო?

ოფელია: დამაცა ვაა! აქ ყველაფერი აქვს მიწერილი ეგრე კი არ არის , ზნაჩიტ , ვირების ჭიშკარი, იგივე ავრელიანეს ჭიშკარი. აგებულია 270-273 წ.წ..სწორედ ამ ჭიშკრის გავლით შევიდა ქალაქში ბიზანტიელი მხდართმთავარი ველისარიუსი 536 წელს, ოსტგუთებზე გამარჯვების შემდეგ. მაშ ეს არ უნდა ვნახოთ?

კიდევ , კოლიზიუმი, ვატიკანი (თვითონაც ჩუმდება) რა ვატიკანი , ვატიკანს აქ რა უნდა? (რვეულს ატრიალებს) რომის ღირშესანიშნაობები, ფუუჰ შენი!!!

ოფელია ბრაზდება და რვეულს მოისვრის, მირანდა და მზეხა ისტერიულ სიცილს იწყებენ

სცენა მეხუთე

ზუზუს გარდა ყველანი ნომერში არიან და ჩემოდნებს გასამგზავრებლად ალაგებენ, თან სამივე ხმამაღლა ერდროულად ლაპარაკობს.

მირანდა: -ეს ჩემს ბუთუნია ბიჭს, ეს მაკაკოს, ეს ანდრიას საჩუქარი, ეს ბებო შემოევლოს გუგას, ესეც კოკას ქუდი. ეს ჩემს გოგოებს სამი ერთნაირი, ეს ჩემი შარფი, ანას შარფი დუდუს შარფი...

მზეხა: რა ჯანდაბათ ვიყიდე ეს ამსიმძიმე ბოტები, რა იყო მეთქვა არ შემხვდრიათქო, დამიჭერდა ვინმე თუ შემამოწმებდნენ?!

ეს ერთი ეიფელი- ზურას , მეორე ეიფელი-მანანას,მესამე ეიფელი -გოგის...

ოფელია: ზნაჩიტ, ეს ნათელას, ეს დამპალ გურგენას, არ არის ღირსი მაგრამ იყოს, ეს კარენას, პატარა რაფო... დიდი რაფო, სალონის გოგოები ერთი ეიფელი, ორი ეიფელი სამი-ოთხი-ხუთი...

სამივე ისევ ერთდრპულად ლაპარაკობენ, ჩემოდნებს საბოლოოდ ალაგებენ ყველაფერს , ჩაკეატვენ , ოთახიდან გარეთ გადგამენ.

მირანდა: მე მაინც ზუზუზე ვდარდობ, იქნებ გვეთქვა წასვლამდე, ა?!

ოფელია : აპაპაპა, თვითმფრინავში, სანამ არ ავფრინდებით მანამდე , არა.

მზეხა: დაგრჩა ის წამალი, რა ქვია ? ფრენის შიშის საწინააღმდეგო.

მირანდა: კიი მაგრამ იქნება აღარ გინდა?!

მზეხა: გთხოვ რაა

მირანდა ტაბლეტების ფირფიტას მიაწვდის, მზეხა მის დასანახად ერთ ტაბლეტს მოხევს, მერე კი ჩუმად კიდევ რამდენიმეს და ყველას ერთად გადაყლაპავს.

მზეხა: ზუზუ, ისე სად არის ამდენ ხანს? მაგას ალბათ ვერც წარმოუდგენია მაგის დაბადების დღე რო გვახსოვს.

ოფელია: მირანდა, მიდი რა დაურეკე მართლა არ დაგვაგვინდეს.

მირანდა რეკავს

მირანდა: სადა ხარ საყვარელოო? მართლა? ძალიან კარგი , გელოდებით , კი ჩვენ უკვე მზად ვართ.

ოფელია: რაო?

მირანდა : ჩქარა ტორტი ჩქარა! კიბეებზე ამოვდივარო.

ტორტზე სანთლებს ანთებენ და ერთმანეთის გვერდი-გვერდ დგებიან.

კარი იღება და ზუზუს თვალები უბრწყინდება სანთლებიანი ტორტის დანახვაზე.

სამივენი ერთად დასცხებენ,,ჰეფი ბიორს დეი'' -ს

ზუზუ: ვაიმეე რა მაგრები ხართ გოგოებო, ძალიან დიდი მადლობა.

მირადა: გილოცავ! სულ ბედნიერი და გახარებული მენახე მთელი ცხოვრება

ოფელია: გილოცავ ზუზუ!! ძალიან მაგრად მინდა რომ იყო!

მზეხა: ზუზუ გილოცავ საყვარელო! სად გაშპი ამ დილაადრიან, ხმა კი გავიგე კარის, მაგრამ ვეღარ მოვასწრი რო მეკითხა.

ზუზუ: ხოო , ნიკუშა მირეკავდა და გარეთ გავედი რომ არ გამეღვიძებინეთ.

ოფელია: ნიკუშა?! ის ნიკუშა?

ზუზუ: ხოო სიურპრიზი გამიკეთა ჩემს დაბადებიდ დღეზე , თურმე მაგიტომ არ მეხმინებოდა , მოკლედ აქ არის ჩამოვიდა და მე კიდევ ერთი კვირით ვრჩები პარიზში. ისე რომ ამჯერად ჩემს გარეშე მოგიწევთ გამგზავრება. მაგრამ აეროპორტამდე გაგაცილებთ.

ოფელია: ისიც ?

ზუზუ: კი ქვემოთ გველოდება, აბა წავედით.

ეს შენ ოფელია, ჯადოსნური ჯოხი შემხვდა და გიყიდე.

ოფელია: ვაიმეე , შენ გაიხარე ზუზუ-ჯან როგორ გავახარებ ჩემს რაფოს

მირანდა: რათ უნდა ამხელა კაცს ეს ჯადოსნური ჯოხი გადავირიე ქალი

ოფელია : რა ამხელა ხუთი წლის არის , პატარა რაფოსთვის მიმქავს დიდი კიარა, შენ ვერა ხარ ხო იცი?!

მირანდა: მაიცა შვილიშვილსაც რაფო ქვია? ჰაჰაჰაჰა!!!

ოფელია: დიახ და უკვე ჰარი პოტერიც წაიკითა .

პარკიდან ჯოხს ამოიღებს და ხელში დაატრიალებს, მერე მზეხას დაუმიზნებს.

ოფელია: აბა დღეიდან თვითმფრინავში ჩაჯდომის აღარ გეშინოდეს მზეხა-ჯან!

უცებ, საშინელი ბრაგუნი გაისმება და მზეხა ზღართანს მოადენს ძირს.

მირანდა: ვაიმეე, ამას ერთის მაგივრად სამი ტაბლეტი დაულევია. ჩემი სიკვდილი.

ზუზუ: წავედით?

მირანდა: ამას რა ვუყოთ?

ოფელია: რა უნდა ვუყოთ? როგორც მოვათრიეთ , ისე უნდა წავათრიოთ, აბა აქ ხო არ დავტოვებთ.

მირანდა და ოფელია აქეთ-იქიდან ამიუდგებიან მზეხას და ოთახიდან გაყავთ.

ოფელია: არა რაა, პარიზი- პარიზია!.

2021 წ.